

საქართველოს ეპითერმული ოქრო-სპილენძ-პოლიმეტალური გამადნების ზონალობა ბოლნისის, ძამა-ღართასა და მერისის მადნიანი რაიონების მაგალითზე

გიორგი ხარაზიშვილი

ელ-ფოსტა: giorgi.kharazishvili203@ens.tsu.edu.ge

გეოლოგიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო

მეცნიერებათა ფაკულტეტი,

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

მისამართი: 0179, ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N1

საქართველოს ტერიტორია ინარჩუნებს ოქროს საბადოების აღმოჩენის პოტენციურ შესაძლებლობას და ეს პირველ რიგში, აჭარა-თრიალეთის ნაოჭა რღვევითი სარტყელს და ბოლნისის რაიონს უკავშირდება. გასული საუკუნის ბოლოს და ახალი საუკუნის დასაწყისისათვის მკვეთრად შეიცვალა ჩვენი გაგება ოქროს, სპილენძისა და პოლიმეტალური მინერალიზაციის მეტალოგენური წყობისა და გენეზისის შესახებ სამხრეთ კავკასიასა და მთელ ტეთისის სარტყელში. ადრე ითვლებოდა რომ ისინი წარმოადგენდნენ მადნის წარმოქმნის სხვადასხვა პროცესების, ალბათ ერთდროულ, მაგრამ ცალკეულ პროდუქტებს. თუმცა დღეს ისინი განიხილება, როგორც საბადოები, რომლებიც გაერთიანებულია საერთო წარმოშობით და გამოყოფილია მათი თავდაპირველი მაგმატური წყაროებიდან სხვადასხვა მანძილით. მაგალითად, სამხრეთ კავკასიაში ოქროსა და ძირითადი ლითონების საბადოები ტრადიციულად იყოფა სამ ძირითად ტიპად: ვულკანოგენური ოქრო და ძირითადი მეტალების მასივი, კუროკოს ტიპის სულფიდები, ჰიდროთერმული ოქროსა და პოლიმეტალური მარღვების საბადოები და პორფირის სპილენძი (ოქროთი ან მის გარეშე). შტოკვერკული მარღვები, (თვალჭრელიძე, 1980 და 1984). ეს მიდგომა საგრძნობლად ზღუდავდა ახალი აღმოჩენების შესაძლებლობებს. ახალმა მეტალოგენურმა მოდელებმა დაამტკიცა, რომ როგორც ეპითერმული, ასევე პორფირული მადანგამოვლინებები დაკავშირებულია კალციუმის ტუტე კუნძულოვანი რკალების განვითარებასთან სუბდუქციისა და ოროგენული სტადიების დროს (Yigit, 2006; 2009; Mederer et al; 2013; Moritz et al; 2016). ამიტომ, პორფირული და ეპითერმული მადანგამოვლინებები ტრადიციულად ცალკე აღიწერებოდა, მათ შორის შესაძლო გენეტიკურ კავშირზე ყურადღების გამახვილების გარეშე (Ghaderi et al; 2018; Kuşcu et al; 2019). ამ ტიპის მინერალიზაციის მოდელებიც კი ცალ-ცალკე გენერირდებოდა (Sinclair, 2007; Taylor, 2007; Berger et al., 2008; John, 2010; John et al., 2018). თუმცა, უკვე 2000 წელს, რ.ჰ. სილიტოემ გამოკვეთა პორფირის სპილენძისა და ეპითერმული ოქროს მინერალიზაციის გენეტიკური ერთიანობა (Sillitoe, 2000). მომდევნო წლების განმავლობაში, პორფირის სპილენძის საბადოებში ოქროს არსებობის მრავალი მტკიცებულება გამოქვეყნდა (Shafiei and Shahabpour, 2008; Hajalilou and Aghazadeh, 2016